# ცნობის ფურცელი

№ 195 · სამშაბათი, 15 ოქტომბერი · 1896—1902 · ყოველ-დღიური გამოცემა · № 1954

**ხელის მოწერის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.



წარმოდგენა 5 ტელეფონი 617

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს 1902 წ.

{ გასტროლი ვ. ა. ბალანჩივაძისა }

ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ორი პიესა

I

### ირინეს ბედნიერება

სოფლის სურათები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

II

### მარჯვე დღე

კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, თარგ. მ. საფაროვისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი და სხვ.; ბ ნნი: დ. აწყურელი, ვ. ბალანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხვანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კაპეიკიდან 1 მ. 50 კაპეიკამდე, გალერეა 25 კაპ.-დან 45 კაპ.-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი", „უბედურ ვარსკვლავზე", „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, სამშაბათს, 15 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

### ცარსკაია ნევესტა

ოპერა 4 მოქ. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი გაშინსკისა, დობრჟანსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი და სხვანი; ბ-ნნი: ვასილიევი, პოლუიანოვი, სერგეევი, ჩემეზოვი, კაზიმირო, პეტროვი, პევცოვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება **„კარმენი"**. დონ-ხოზეს როლს შეასრულებს **ა. პ. ზონაჩიჩი.** ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს „ტფილისის კრუჟოკ"-ში წარმოდგ. იქნება ბ-ნ **ბროჟეკ-მუჭინის** მონაწილეობით **„რიგოლეტო"**. მალე **ბენეფისი** იქნება არტისტის **ა. პ. ზონაჩიჩისა.** ბილეთები იყიდება. მზადდება წარმოსადგენად ოპ. **„მარგალიტების მაძიებელნი"**, მუსიკა ბიზესი.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (6. 0—23)

სრულიად ახლად გადაკეთებული

### „იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—3)

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

### ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**ექიმი**

### ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

**ექიმი**

### ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

**ექიმი**

ალექსანდრე გიორგის ძე

### მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

**ექიმი**

### ნ. მ. ასპიროვი

თვალის, ცხვირის, ყურის და ყელის სნეულებით ავათმყოფთ მიიღებს შუადღის შემდეგ 1—5 სათ. და საღამოს 7—8 საათამდის.

**ღარიბთ უფასოდ.**

მიხეილის პროსპექტი, 47. (14—3)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დილით:**

**მ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**მ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ქამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ბრ. მ. სოგბოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ეგვიდის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაძისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 474. (წლ.)


## დიდი საქმე*)

II

### რა უნდა გავკეთდეს

„როგორ შეუდგეთ საქმეს? საიდან დავიწყოთ?"—აი ეს კითხვები დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდნენ და მუდამ მაწუხებდნენ, სადაც უნდა ვყოფილიყავ: შვეიცარიაში, სადაც რძის და ყველის მეურნეობასა, სათემო მამულის და ტყის მოვლას ვსწავლობდი, ფლანდრიაში, სადაც მთელი ქვეყანა პაწია მამულებადაა დაქუცმაცებული, ყოველი მამული გადაქცეული ბაღად და ბოსტნად, შიგაც ორანჟერეიებია გამართული, თუ ჯერსეის კუნძულებზე, სადაც თითო, ან არა და ნახევარ აკრ მამულზე ბოსტანი მოჰყავთ, ან არა და რძის მეურნეობას მისდევენ. ეს ფიქრი არც მაშინ მაძლევდა მოსვენებას, როცა წიგნებში ვკითხულობდი სამეურნეო-სატეხნიკო მოძრავ სკოლებზე, ან დანიისა და ბელგიის გლეხთა კოოპერაციებზე და საფრანგეთის მიწათ-მოქმედთა სინდიკატებზე. ერთის სიტყვით, ყველგან და ყოველთვის ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდნენ დაგონებიდან არა მშორდებოდნენ. ყველი ნახული ისეთი კარგი იყო, ყოველი წაკითხული მომხიბლავი... მთელ ამ მეურნეობას, კოოპერაციებს, სიფაქიზეს, შეძლებას, სწავლას ავსწევ და ჩვენ ღარიბ უბედურ სოფელში გადავიტან, ასეთი სურვილი მომივლიდა ხოლმე. საფრანგეთისა და შვეიცარიის იურის მთებში რომ ზამთრობით საოჯახო მრეწველობას მისდევენ, ამ მრეწველობის გადატანა ჩვენში ხომ ნამეტნავად მინდოდა. ამ საოჯახო მრეწველობის წყალობით გრძელ ზამთრის თვეებს გლეხ-კაცები თავის სუფთა, კარგად მოწყობილ ხის სახლებში ატარებენ და იძულებულნი არ არიან მცირე საშოვრის გულისათვის შორეულ ქალაქებში გადაიკარგნენ.

ყოველივე ეს მიმზიდველი, მომხიბლველი და სასურველია, მაგრამ ყოველივე ეს შემუშავდა და მოეწყო საერთო ღონითა და ძალით; ყველა ადგილობრივ მცხოვრებლების, არჩეულ ადმინისტრაციის, ინტელიგენციის, ეროვნულ მთავრობის ერთ-ურთ დახმარებითა და შემწეობით. თითოეულ კერძო კაცს როდი შეუძლიან ყოველი ეს ნახული და გაგონილი თავისს კერძო მეუნეობაში გადმონერგოს. ყველა ამის გადმოსანერგად მთელ ადგილობრივ ხალხის მეცადინეობაა საჭირო; ეროვნული მთავრობაც ხელს უნდა უწყობდეს და ხელმძღვანელობას უწევდეს ხალხსა. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება, ვფიქრობდი ხოლმე, ჩვენშიაც საერო მეურნეობის უმაღლესი ტიპი დაინერგოს. რაც უნდ უცნაურად გეჩვენოთ, მაინც, რაკი ეს დასკვნა უმთავრეს დასკვნად გამიხდა, იმის პრაქტიკულ განხორციელების გეგმაც თანდათანობით გამოირკვა და განვითარდა ჩემს გონებაში.

1. ავიღოთ ჩვენი გლეხობა ისე, როგორც ნამდვილადაა,—თვით საადგილ-მამულო საქმესაც-კი ნუ შევეხებით. უნდა ალვიაროთ, რომ შემოდგომითვე სავალდებულო გაყიდვა მოკრებილ მოსავლისა სახელმწიფო, საერობო და სოფლის ხარჯებისა და გადასახადების გასასტუმრებლად გლეხ-კაცს ძალას ატანს მოსავალი ისეთ ფასად გაჰყიდოს, როგორსაც ჩარჩი-მსყიდველები გადაჰკვეთენ და არა თითონ გლეხ-კაცები. ისიც კარგად გახსოვდეთ, მოსავალი თუნდ კარგი იყოს, თუნდ ცუდი, ამას მცირე გავლენა აქვს გლეხკაცისაგან აღებულ ფულზე: გლეხ-კაცი თითქმის ერთნაირად ჰყიდის მოსავალს. კარგი მოსავლის დროს ფასი კლებულობს, გლეხკაციც საჭირო ფულის საშოვნელად იძულებულია მეტი მოსავალი გაჰყიდოს. თუ მოსავალი ცუდია, ფასი მატულობს, მაგრამ გლეხ-კაცს ცოტას გასყიდვა-ღა შეუძლიან. ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც გლეხ-კაცი **ვალდებულ გაყიდვის** მსხვერპლია. ამიტომ გლეხ-კაცი უსათუოდ უნდა განთავისუფლდეს ვალდებულ გასყიდვისა და ჩარჩ-ვაჭართა თვით-ნებობისაგან. რა გზით მივაღწიოთ ამ განთავისუფლებას? სხვა-და-სხვა გზით.

პირველი: სამხედრო სამინისტროს ჯარებისათვის და ფინანსთა სამინისტროს არყის გამოსახდელად შეუძლიანთ ადგილობრივ ერობის შუამავლობით პირ-და-პირ სოფლის საზოგადოებისაგან იყიდონ საერთაშორისო ბირჟის მიერ დადგენილ ფასად ხორბალი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. მეორე: თვით ერობას შეუძლიან გამართოს ელევატორები, ამასთან გასცეს ავანსად ფული და გაჰყიდოს ხორბალი ბირჟის ფასად. განა ოცნებაა ესა? პირ-იქით, იგი ადვილად განსახორციელებელია, თუ საქმეს ბიუროკრატიულ ფორმალიზმს ჩამოაცლიან და ამორჩეულ კაცებს მიანდობენ.

2) უმეტესი ნაწილი ხალხისა მსხვერპლია სამის-ოთხის თვის უსაქმობისა ზამთარში. საძაგლად ჩაცმულ-დახურულია; მუშაობის იარაღი საცოდავი სანახავია; სახლ-კარი, ოჯახის მორთულობა მეტად ღარიბული; წიგნი და ქაღალდი ხომ სულ არა აქვს. ათისა და ოცის წლის განმავლობაში განა არ შეიძლებოდა სოფლებში ისე მოეწყოთ საქმე, რომ **ზამთრობით** შალი დაემუშავებინათ, ტილო, ფეხ-საცმელი, უბრალო მოწყობილობა ოჯახისა, ურემი, გუთანი და სხვა? წარმოვიდგინოთ, 20 სოფელში თავ თავისს სპეციალ საქმეს აიჩენენ მცხოვრებნი—ხის სამუშაოს, მატყლის ქსოვასა, ტყავის დამუშავებასა, წალების კერვასა და სხვა-და-სხვა; მერე ისეთს, რომ უბრალო და იაფი, გლეხური ნაწარმოები გამოსულიყო მხოლოდ; წარმოვიდგინოთ, რომ ამ სოფლის საზოგადოებაში ყველა სოფელი რომელისამე წარმოების ნაწილის ასრულებას შეუდგება ისე, როგორც შინა-მრეწველობა სწარმოებს მთიულებში;—მაშინ გამოვიდოდა, რომ 10—20 წლის შემდეგ მთელი მხარე ზამთრობით ხალხისათვის საჭირო ნაწარმოებს შეჰქმნიდა; ამ ნაწარმოებს თავს მოუყრიდნენ საერთო სახალხო მაღაზიაში. აგრეთვე იქნებოდა აგებაშენების საქმეებში, წიგნებისა თუ საკანცელარიო მასალების დამუშავებაშიაც. განა არ შეიძლება იმ გვარადვე დაარსდეს საამშენებლო საზოგადოება, როგორც ევროპაშია და დიდი შემოსავალიც აქვთ მუშაობისაგან იაფფასიან სადგომების გაქირავებით? ჩვენში შეიძლება დაარსდეს სამაზრო-საერობო გლეხთა ამხანაგობა შენობათა ასაგებად. განა არ შეიძლება წიგნების ასაკინძი, ან სხვა სახელოსნო გაიმართოს სოფელში?

დასავლეთ ევროპაში სტამბები და ქარხნები გადადიან ქალაქებიდან სოფლად. ზამთარში ქალები და პატარეები ადვილად შესძლებენ დაამზადონ სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები, დაფები, დავთრები სოფლისა და ქალაქის სკოლებისათვის, მაზრის ვაჭრებისა და საზოგადო საჭიროებისათვის.

მერე შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს ასრულდეს? ან სად იშოვოს კაცმა ფული ამის დასაწყებად? ყველა ეს შესაძლებელია, მხოლოდ საჭიროა ამის სურვილი თვითონ საზოგადოებამ და ერობამ გამოაცხადოს, მერე ერთსა და ორ წელიწადს კი არა, ათსა და ოც წელიწადს. მხოლოდ საჭიროა ასეთი შემოქმედებითი მიმართულება მივიღოთ და საქმე გაიჩარხება. მცოდნე კაცებიც გამოგვიჩნდებიან, ოსტატებიც; ხალხიც—ეს ცოცხალი და ნაყოფიერობის მომტანი ძალა—იმის ცდასა და მოლოდინშია, რომ თავისი ძალა ნაყოფიერ შრომას მოახმაროს. რაც შეეხება ფულს, დარწმუნებული იყა-

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1950.

ვით, იგივე ევროპის კაპიტალისტი უარს არ ეტყვის რუსეთს მილიონების სესხში, ოღონდ ხალხის ნაყოფიერ შრომას მოახმაროს. არც რუსის კაპიტალისტები ეტყვიან უარს ეროვნათა ნაყოფიერის შრომით შემდგარს ამხანაგობებსა და არტელებს.

3. ჩვენი ხალხი ძლიერ ცუდად იკვებება. იშვიათად სჭამს ხორცს ან თევზსა, ბავშვებს რძეც არ ჰყოფნით. არც საქონლის ჯიში უკეთესდება. ყოველივე ეს მხოლოდ მაშინ დაადგება წარმატების გზას, როცა სოფლის წარმოებაც საზოგადო წარმატებაში წავა. ერიბებს ეხლავე შეუძლიანთ მთავრობის დახმარებით დაიწყონ (ხალხიც სიხარულით ხელს შეუწყობდა) მდინარეებსა, ტბებსა და გუბეებში სხვა-და-სხვა ჯიშის თევზის გაშენება. მეტად საჭირო ნაწილია სასოფლო მეურნეობაში ეს დარგი და ძლიერადაც გავრცელდა შეერთებულ შტატებსა, შვეიცარიასა და ინგლისში (ლოკოკინებსაც კი აშენებენ). მერე ძნელი ან ძვირი არ გეგონოთ თევზის გაშენება. ამის მცოდნე რუსეთშიაც ბევრი გამოჩნდება. თუ საერთო საზოგადო მიმართულება მიეცემა საქმეს, აქაც იშოვება საჭირო ფული; ხალხის დახმარებასთან ერთად მილიონები და ათი ათასი თუმნები საჭირო აღარ იქმნება. ვინც კარგად გაცნობილია ამ საქმესთან, ის დაგვეთანხმება, რომ ჩვენც არც ვაზვიადებთ და არც გატაცებულად ვლაპარაკობთ.

არც ის მოგვივა გაზვიადებულად, თუ ვსთქვით, რომ გლეხის საქონლის მოშენება და რძის მრეწველობა სამ დესეტინა მიწაზედაც შეიძლება გაძლიერდეს. თუ ზამთრობით მრეწველობა გაიმართება და ამის შემწეობით გაზაფხულისათვის ოჯახს 15—20 მანეთი შეუგროვდება, მაშინ იმის საშუალებაც ექმნებათ, რომ კარგად დაამუშავონ, ბალახის თესვა დაიწყონ; გლეხი ძროხისა, ორი სამი ცხვრისა, ერთი-ორი ღორის გამოსაკვებად ბოსტნეულობას დასთესავს. ეროვბისა და საზოგადოების ტეხნიკოსები და აგრონომები თუ აუხსნიან გლეხებს, განსაკუთრებით ქალებს, როგორ უნდა მოუარონ საქონელს, როგორც, მაგალითად, ჯერზეის *) კუნძულზეა, მაშინ იმავე 10—20 წლის განმავლობაში ხორცისა და რძის საკვები ისე ძვირი არ იქმნებოდა ხალხში, როგორც დღეს არის.

(შემდეგი იქნება)

# საზღვარ-გარედ

**ინგლისი.** პარლამენტის პირველ სხდომის დროს, გეხსომებათ, დიდი შეტაკება მოუვიდათ ბალფურსა და ირლანდიელებს. ამ ამბავმა ძლიერ აღელვა პარლამენტის წევრები. ლიბერალებმა ირლანდიელების მხარე დაიჭირეს და გადასწყვიტეს, ჩვენც მოვითხოვოთ, რომ ირლანდიის საქმეთა მდგომარეობის განსახილველად ერთი დღე დაინიშნოსო. ლიბერალების უმთავრესი გაზეთი „დაილი ნიუს"-ი სწერს: „ეჭვი არა გვაქვს, ოპოზიციის მოწინავე ნაწილი მოითხოვს, რომ ირლანდიის საქმის განსახილველად ცალკე დღე დაინიშნოს. მთავრობის რეპრესიული ტაქტიკა იქამდე მივიდა, რომ ლიბერალების პარტია უსათუოდ საქმეში უნდა გაერიოს. ირლანდიის საქმეთა მინისტრ უინდჰემის პოლიტიკა დაგმობის ღირსია. ირლანდიის დეპუტატებს ციხეშიაც ჰყრიან და ამას გარდა ძალდატანებითაც ამუშავებენ. როცა ირლანდიის მინისტრად ბალფური იყო, ეს ამბები როდი ყოფილა. ერთის სიტყვით, სახელმწიფო საქმეებს არც ერთი მინისტრი არა სწყვეტდა ისე ადვილად, როგორც უინდჰემი. სწორედ უცნაურად იქცევა. დროა ინგლისის ლიბერალური პარტია ამ ისტორიულ დავაში გაერიოს".

თითონ ირლანდიელები ხომ, რაღა თქმა უნდა, უფრო გაცეცხლებულები არიან. „ცენტრალ ნიუს"-ს სწერენ: „ბალფურმა რომ გამოაცხადა, ირლანდიის საქმეების განსახილველად ცალკე დღეს არ დავნიშნავო, ირლანდიელებმა გადასწყვიტეს პარლამენტის კამათში მონაწილეობას ნუ მივიღებთო. პარლამენტის გახსნას ბევრი ირლანდიელი დაესწროა. მაგრამ დაიწყო თუ არა კენჭის ყრა, მონაწილეობა არ მიიღეს და პარლამენტის შენობიდან სულაც გავიდნენ. ირლანდიის პარტია ძლიერ უწყრება მთავრობას. ირლანდიელებში ვინც სასკოლო ბილის მომხრე იყო, ისინიც კი ეხლა უარს ამბობენ და აცხადებენ, ბილის წინააღმდეგები გავხდებითო. ამ დღეებში მთელი პარტია შეიკრიბება საქმეთა ვითარების განსახილველად. არლანდიელების უმეტესობა აშკარად თხოულობს, სულ ნუ მივიღებთ მონაწილეობას პარლამენტის მოქმედებაში და ირლანდიაში დავბრუნდეთო, მაგრამ ზოგი კიდევ იმ აზრისაა, ბალფურს მეორეთ მოვსთხოვოთ ირლანდიის საქმეთა განსახილველად ცალკე დღე დანიშნოსო.

✦ მთავრობის პარტიის წევრები დღემდეარა სცხრებიან და სასკოლო ბილის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ. დოქტორმა დაუსონ ბიორნსმა ლიბერალ-უნიონისტ დეპუტატებს წერილი მისწერა და ბეჯითად სთხოვა, მაგისთანა რეტროგრადიულ კანონ-პროექტს მხარს ნუ დაუჭერთო. ბიორნსი ახსენებს ლიბერალ-უნიონისტებს—ბილის ბედი თქვენს ხელშიაო.

✦ ირლანდიის მიწის მფლობელთა კრებაზე ლენდ-ლორდების უმეტესობა წინააღმდეგი გახდა და ფერმერებთან კონფერენციის გამართვა უარჰყო. ლენდ-ლორდების უმცირესობას ცირკულიარი შეუდგენია ამის თაობაზე და ყველა ლენდ-ლორდებისათვის დაურიგებია. უმცირესობა აცხადებს ამ ცირკულიარში, კრების გადაწყვეტილების კმაყოფილები არა ვართო. ლენდ-ლორდები სწერენ: „როცა საგრაფოები თავიანთ დელეგატებს ირჩევდნენ კრებაზე გასაგზავნად, მაშინ კონფერენციაზე ჯერ ლაპარაკი არა ყოფილა. ამიტომ ვეჭობთ, რომ არჩეულ დელეგატების დადგენილება ყველა ლენდლორდების აზრს შეეფერებოდეს. წინადადებას ვიძლევით, ყოველ საგრაფოს ლენდლორდებს ცალკე ეკითხოს, თუ რა აზრისანი არიან კონფერენციის შეკრებაზე". ამ აზრით უმცირესობას დროებითი კომიტეტი დაუწესებია. კომიტეტის წევრებად დაუნიშნავთ გრაფი დიონ რავენი, გრაფი მეტი, ლორდი მაიო და სხვ. ცირკულიართან ქაღალდის ფურცლებიც დაურიგებიათ ლორდებისათვის, რომ ზედ თავიანთი აზრი დასწერონ.

**საფრანგეთი.** ცნობილმა ჟურნალისტმა პრესანსემ—ეხლა სოციალისტების პარტიას მიემხრო,—„ორორ"-ში გამოაცხადა, მალე პალატაში კანონ-პროექტს წარვადგენ, რომ ეკკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევდესო; პრესანსე იმედოვნებს, რესპუბლიკელთა უმეტესობა სასახელოდ მიიჩნევს, რომ თავიანთ პროგრამის უმთავრესი მუხლი ასრულებაში მოიყვანოსო.

✦ მთავრობამ ასოციაციების კანონის შესავსებად ახალი კანონ-პროექტი წარუდგინა პალატას. ახალ კანონ-პროექტში სასჯელებია დანიშნული წინანდელ კანონის დარღვევისათვის. ვინც ამ კანონს დაარღვევს, სასამართლოს ნება აქვს 5000 ფრანკამდე ჯარიმა და ერთ წლამდე ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტოს. ეს სასჯელი ეკუთვნით: 1) ყველას, ვინც ნება-დაურთველად ახალ საკონგრეგაციო დაწესებულებას დააარსებს და ამნაირ დაწესებულებას გამგედ იქნება; 2) ყველას, ვინც კანონის ძალით დახურულ საკონგრეგაციო დაწესებულებას ეკუთვნიან; 3) ყველას, ვინც საკონგრეგაციო დაწესებულებას დახმარებას გაუწევენ. ახალ კანონპროექტს განმარტებაც აქვს დატანებული. მთავრობა ამნაირად ასაბუთებს ხსენებულ სასჯელებს. ორის წლის წინად დამტკიცებულ კანონს ასოციაციების შესახებ ნაკლი აქვს: კანონში არა სწერია, თუ როგორ მოიქცეს მოსამართლე იმ შემთხვევაში, როცა ნება-დართული კონგრეგაცია ნებადაურთველად ახალ განყოფილებას აარსებს, ანუ როცა დახურულ საკონგრეგაციო დაწესებულების წევრნი ხელა-ახლად ჰხსნიან ამავე დაწესებულებას, მხოლოდ სხვა სახელს არქმევენ. ეს ნაკლი ყველამ აშკარად დაინახა, როცა ამას წინად საკონგრეგაციო სკოლა დაიხურა.

**ავსტრო-უნგრეთი.** მორავიაში, ოლმიუცის სავაჭრო პალატაში, სადაც უმეტესობა ხრიკებისა და მოხერხების წყალობით გერმანელებს ეკუთვნის, გერმანელებმა, კანონის წინააღმდეგ, გამოაცხადეს, ჩეხურ ენას თანასწორობის უფლება არა აქვსო. პალატის ათმა წევრმა-ჩეხმა ობსტრუქცია გამართეს 35 გერმანელ წევრის წინააღმდეგ. როცა სავაჭრო პალატა არჩევანს შეუდგა, ჩეხები საარჩევნო ბიუროს ეცნენ; ერთმა დიდს ზარს სტაცა ხელი და რეკა დაიწყო, დანარჩენებმა კიდევ თან მოტანილ სასტვენებით დაიწყეს სტვენა. მერე ჩეხები გერმანელებს მისცვივდნენ და ხელიდან საარჩევნო ბიულეტენს სტაცებდნენ, მაგრამ გერმანელებმა უკან დაახევინეს. მაშინ ჩეხებმა სულის შემგუბებელი ნივთიერებანი მოფანტეს მთელს დარბაზში: ქლორის კირი, გოგირდის სიმჟავე და სხვანი. პალატის მდივანს გრძნობა დაეკარგა. შეტაკების დროს ერთმა ჩეხმა სილა გაარტყა გერმანელს, მეორემ კიდევ ჭიქები დაამსხვრია. უწესოებამ საათის სამი მეოთხედი გასტანა, მაგრამ ბოლოს გერმანელებმა მაინც თავიანთი გაიტანეს და არჩევანი დაასრულეს. როცა პალატის თავმჯდომარე აარჩიეს, გერმანელებმა ძლიერი ტაშის ცემა ასტეხეს. ჩეხებმა კიდევ პროტესტი გამოაცხადეს. როცა ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ლაპარაკი დაიწყო, ხელმეორედ დიდი ხმაურობა ასტყდა.

✦ გაზეთ „პოლიტიკ"-ის თანამშრომელს ერთს პოლონელ დეპუტატთან უსაუბრია რეიხსრატის ეხლანდელ სესიის თაობაზე. პოლონელ დეპუტატს უთქვამს: „ჩეხები ობსტრუქციას ხანჯლაობად არ გადააქცევენ, რადგანაც ხანჯლაობის დროს თითონაც დაიჭრებიან. დარწმუნებული ვარ, მაინც, რომ ჩეხები არაფერს ხერხს არ დაჰზოგვენ, ოღონდ კერბერის კაბინეტი კი დაამხონ. სამინისტროს დაცემა იმ სარგებლობას მოუტანს ჩეხებს, რომ გერმანელი ბიუროკრატია კერბერისთანა მოხერხებულ მინისტრს ველარ იშოვის, კერბერსავით ოსტატურად ვეღარავინ შეასრულებს გერმანულ ცენტრალისტურ პროგრამას". ამ ბრძოლაში პოლონელების კლუბის ნაწილიც დიდის ხალისით დაეხმარება ჩეხებს.

**მაკედონია.** ვენურ ჟურნალ „ცაიტ"-ში მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილოვსკის დეპეშაა დაბეჭდილი: „ოსმალეთში ხელ-ახლად დაიწყო ხანა სისხლის ღვრისა და საზარელ ძალ-მომრეობისა. ჯუმაისა, მალეშოვისა და მელინიკის ოლქებსა და მაკედონიის სხვა კუთხეებში ბაშიბუზუკები და ოსმალოს მუდმივი ჯარი თოფით ჰხვრეტენ ბავშვებსა და დედაკაცებსაო."

**სერბია.** „ნ. ფ. პრესე"-ს კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია სერბიის სახელმწიფო კაცთან. სახელმწიფო კაცს წინადვე უთქვამს ჟურნალისტისათვის: „ავსტრიის ადვოკატი არა ვარ, მაინც-კი ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ სერბიის ხსნა მარტო ჰაბსბურგების მონარქიის მეგობრობას შეუძლია; რადგანაც ავსტრია ბალკანეთის ერებს შინაურ განვითარების თავისუფლებას ანიჭებს, მარტო იმით კმაყოფილდება, რომ ადგილობრივ სამეფო სახლებთან მეგობრულ ურთიერთობას აწესებს". რუსეთს-კი სულ სხვა უდევს გუნებაშიო: თითონ ბალკანეთის ერებს თითქმის მთლად იმორჩილებს და აქაურ მმართველებს, როგორც დაჰხედავს, ისე ექცევა: ხან დასცემს, ხან დახმარებას უწევს".

# ახალი ამბავი

✦ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში არსდება საბერძნეთ-აღმოსავლეთ ეკკლესიის ისტორიის კათედრა. სხვათა შორის, ახალ კათედრის პროგრამაში **საქართველოს საეკკლესიო ისტორიაც შედის**.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია დააარსოს კავკასიასა და ყირიმში **მევენახეობისა და მებაღეობის რამდენიმე დაბალი სასწავლებელი**.

✦ 16 სექტემბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას კრება ექმნება. ამ დღეს კრებამ უნდა აარჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნით, უნდა განიხილოს **სოფლებში მკურნალობის მოწყობის საქმე**.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს **დაუვალებია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის**: წარმოგვიდგინეთ ცნობები იმ სკოლებისა, რომელიც ქალაქებისა და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა ხარჯებით არის კავკასიაში დაარსებული და რამდენი იხარჯება თითოეულს სკოლაზეო.

✦ დღეს ტფილისში და ტფილისის მაზრაში (ელისაბეტალის კოლონიაში) **სამხედრო ბეგარის მოსახდელად** კენჭით გაყვანა იწყება.

✦ 17 ოქტომბერს **კენჭს უყრიან იმ მოსწავლე ქალთ**, რომელთაც 1-სა და II-ქალთა გიმნაზიებში ქალაქის თავისუფალ სტიპენდიების მიღება სურთ. პირველ გიმნაზიაში ორი სტიპენდიაა თავისუფალი, აქ მთხოვნელი-კი 30; მეორე გიმნაზიაში ერთი სტიპენდიაა, მთხოვნელი-კი—40. ამათ გარდა ქალაქის გამგეობას მიუღია ასამდე ქალისაგან სათხოვარი, ჩვენც ჩაგვაგდეთ კენჭშიო. გამგეობას ყველა მთხოვნელის შინაური მდგომარეობა გამოუკვლევია და შეუტყვია, რომ ყველანი გაჭირვებულნი და მეტად ხელ-მოკლენი აღმოჩენილან. მერე 170-დან მხოლოდ სამს-ღა ერგება ბედი, დანარჩენები თავისს ხელ-მოკლეობაშივე დარჩებიან...

✦ შაბათს სხდომა ჰქონია იმ კომისიას, რომელიც განსვენებულ ზუბალაშვილის სახელობაზე **ღარიბ მცხოვრებთა თავშესაფარის** გამართვის საქმეს განაგებს. ამ თავშესაფარისათვის განსვენებულმა ზუბალაშვილმა სუდების ქუჩაზე უანდერძა სახლი. ეს სახლი ძველია და სამაგიეროდ ახალი უნდა ააშენოს ქალაქმა. ძველის დასანგრევად და ახალის სახლისათვის საძირკველის გათხრისათვის ვაჭრობა იყო დანიშნული და ნაკლები ფასი მიწის მუშაობისა წარმოდგენილი იყო 7 მან. ეხლა ვინმე ჯიჯიევს 6 მან. 25 კ. გამოუცხადებია და კომისიასაც უნდა პირობა შეუკრას ამ კაცს; ტეხნიკოსს აგანჯანოვს-კი დაავალა ამ კვირაშივე შეუდგეს მუშაობას. მოკლე ხანში სხვა სამუშაოს ამღების მსურველთაც გამოიწვევს ქალაქის გამგეობა.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო სამინისტროსაგან განსახილველად პროექტი **პურის ვაჭრობის განწესრიგების** შესახებ. წარსულ შაბათს ამ საქმისათვის ამორჩეულ კომისიას კრება ჰქონდა. კომისიამ დაადგინა პროექტის განსახილველად ხუთშაბათობით იქონიოს ხოლმე კრებები. ამას გარდა, კომისიამ თავის წევრებს მიანდო მოხსენებების შედგენა სხვა და სხვა მუხლებისა. მუშაობა კომისიამ ნოემბრის დამლევამდე უნდა დაამთავროს.

✦ ქალაქის გამგეობასა და იმ კომისიას, რომელიც **ქალაქის მესამე სესხის საობლიგაციო საქმეებს განაგებს**, დაუდგენია: რადგან სესხი ქალაქის საუკეთესო საყასბოს ასაშენებლად და ლომბარდის თანხის გასაძლიერებლად იყო ნათხოვარი და ორივე ეს საჭიროება ქალაქმა მოკლე ხანში აუცილებლად უნდა დაიკმაყოფილოს,—ქალაქის გამგეობამ დაუყოვნებლივ სთხოვოს ფინანსთა სამინისტროს, ნება მოგვცეს ეხლავე გავანაღდოთ სესხის ობლიგაციები და ძველის ობლიგაციების გამოცვლას ნუ მოვუცდითო.

მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზემოაღნიშნულ საჭიროებათათვის ქალაქმა 800 ათას მანეთის ობლიგიციების გამოცემის ნება მიიღო; ამ სესხიდან 200 ათას მანეთის ობლიგაციები გაანაღდა კიდეც ქალაქმა, 600 ათას მანეთის ობლიგაციები-კი მოჰპარეს და სამაგიეროდ ახალი რიგობის ობლიგაციები გამოსცა. 200 ათას მანეთიდან მხოლოდ 15 ათასისა დარჩენილა გამოუცვლელი, დანარჩენი სულ გამოუცვლია ქალაქს. სამინისტროსათვის იმის თხოვნაც უნდა ქალაქს, რომ 15 ათასის ობლიგაციების გამოსაცვლელად 1903 წლის მაისის თვე იყოს დანიშნული, ამას იქით-კი ძველის ახალზე შეცვლა საბოლოოდ მოისპოსო.

✦ მიმდინარე წლის დასაწყისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ლეჩხუმის მაზრის უფროსად ყოფილის **კონსტანტინე ალშიბაიასი**, რომელსაც ბრალად ედებოდა სამსახურის დროს რამდენისამე დანაშაულობის ჩადენა. სახელდობრ: აბრალებდნენ 1892 და 1893 წლებში ალშიბაიამ მიითვისა და გაჰფლანგა 7.280 მანეთი, რომელიც მურისა და ორბელის ხიდების გასაკეთებლად ჰქონდა მიღებული, და ამ ფულის დახარჯვის ყალბი საბუთები წარმო-

*) 1890 წელს მთელ კუნძულზე იყო სულ 1910 დესეტინა მინდორი. აქ სძოვდა: 1480 ცხენი. 7206 სული მსხვილ-ფეხი საქონელი, 4200 ღორი, 900 ცხვარი, რუსეთში ოჯახის კაცი ადვილად მიხვდება და კარგადაც ხსნის ამ ციფირების დიდს მნიშვნელობას.

ადგინა. მიითვისა აგრეთვე 7.2000 მან., რომელიც 1889—1892 წლებში ხაზინიდან მიღებული ჰქონდა ცაგერისა და ბეჩოს სატუსაღოს მოსამსახურეებისათვის დასარიგებლად და ამაზედაც ყალბი საბუთები წარმოადგინა. 1894 წ. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ ცაგერს გაჰგზავნა 119 მან. 33 კაპ. ბეჩოს სატუსაღოს მოსამსახურისათვის გადასაცემად. 1889 და 1890 წლებში დაბა ცაგერის სასარგებლოდ შემოსულა 384 მან. 35 კ. ყველა ამ ფულებს ალშიბაია დაჰპატრონებია.

სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ალშიბაია ზემოჩამოთვლილ დანაშაულობაში, ღირსება ჩამოჰხადა და სატუსაღო განყოფილებაში ერთის წლითა და 4 თვით ჩაჯდომა მიუსაჯა, მაგრამ სასამართლომ ალშიბაიას 40 წლის ნამსახურობას და სამსახურში სხვა-და-სხვა ჯილდოების მიღებასაც მიაქცია ყურადღება; ამას გარდა, ალშიბაიას უფროსებს ბევრი კარგი უთქვამთ იმის სამსახურის შესახებ და თვითონ დამნაშავეც ხანში შესული კაცია, 60 წელს გადასცილდა, და სატუსაღოში ჩამწყვდევა დიდათ საგრძნობელი იქმნება დამნაშავისათვისაო—ამიტომაც პალატამ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ მისის უდიდებულესობის წინაშე, კანონით მინიჭებულ სასჯელის მაგიერ სამსახურიდან დათხოვნა ვაკმაროთო.

ალშიბაიამ სენატში განასაჩივრა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, მაგრამ სენატმა ალშიბაიას საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა და პალატის განაჩენი დაამტკიცა.

✦ **პირუტყვთა მფარველი საზოგადოებას** მომავალ ნოემბრის 8 რიცხვს თავისს არსებობის 25 წელიწადი უსრულდება. ამ დღეს წევრთა საზოგადო სადღესასწაულო კრება იქმნება გამართული და რიყეზე, საკუთარს სახლში, პირუტყვებისათვის გამართულს სამკურნალოს აკურთხებენ.

✦ საბებიო ინსტიტუტში **ღარიბ მოსწავლე ქალთათვის** ქალაქმა ორი სტიპენდია დააწესა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე. ამ ინსტიტუტის დირექტორს წარუდგენია კიდეც ორი მოსწავლე ქალი ამ სტიპენდიების მისაღებად.

✦ ქალაქის გამგეობას დაუვალებია ტეხნიკის აგანჯანოვისათვის **ჩქარა შეადგინეთ** პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა იმ დუქნისა, რომელიც ვერის აღმართთან მოედანზე უნდა გამართოს ქალაქმა ხორცის სავაჭროდაო. დუქანი 1-ლ ნოემბრიდან უნდაო გახსნან კიდეც.

✦ გუშინ, 14 ოქტომბერს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი მედვედევი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ, სახაზინოა თუ კერძო საკუთრებაა ის ადგილი ბოტანიკის ბაღის თავზე (დოლაძის სახლის წინ), სადაც გზაა გაყვანილიო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მასალების შესაძენად 4000 მანეთი გადასცა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს. რადგანაც სკოლას ეს ფული არა ჰყოფნის, გუშინ დირექტორმა 2000 მანეთი კიდევ სთხოვა გამგეობას.

✦ ქალაქის მოურავის მოადგილემ და ქალაქის წევრმა თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა ამ სამის დღის წინად ქალაქის ლომბარდის რევიზია მოახდინეს. ლომბარდში ყველაფერი წესსა და რიგზე აღმოჩნდა.

✦ ხვალ, 16 ოქტომბერს, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ უნდა განიხილოს საქმე ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის საქმის-მწარმოებლის ჯილიაევისა, რომელიც მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ მამასახლისს პეტრე ხოსროევს უხივის ცილის დაწამებას. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ხოსროევმა რწმუნებულთა კრებაზე ჯილიაევს მოქრთამე დაუძახა.

✦ ყიფიანის ქუჩის მცხოვრებნი სთხოვენ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ ამ ქუჩაში ორი ფარანი დაიდგას.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, ცეცხლი გაჩენია ზაქარია პარასკევაშვილის სახლს. ცეცხლის გაჩენა დროზე შეუტყვიათ და ჩაუქრიათ. გამოირკვა, რომ პარასკევაშვილის სახლისათვის განზრახ მოუკიდებიათ ცეცხლი. ვიღაცას იატაკსა და კედლებზე ნავთი მოუსხამს.

✦ კახეთის მოედანზე 12 ოქტომბერს ზაქარია კაცოევისთვის ვიღაც ქურდს ჯიბიდან ამოუცლია 250 მანეთი ფულად, 250 მანეთის თამასუქები და პასპორტი. ეჭვი მიუტანიათ ვასილ დექტიაროვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

## რუსეთის ქრონიკა

✦ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს გაადიდოს გზათა უწყების მოსამსახურეთა შტატები. პროექტი ახალის შტატებისა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია და გადაუცია განსახილველად სხვა სამინისტროებისათვის.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი ახალის კანონისა ნადირობის შესახებ. პროექტი განსახილველად სხვა სამინისტროებს გაეგზავნა. ახალი კანონი მთელ იმპერიას ეხება, ფინლიანდიის გარდა. პროექტით სანადირო მოწმობის მიმღებთ უნდა გადახდეთ 5-დან 40 მანეთამდე. მოწმობანი არ მიეცემათ იმათ, ვის ყოფაქცევასაც პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს, აგრეთვე იმათ, ვინც სანადირო დადგენილებებს დაარღვევს. ძაღლებით ნადირობა, ახალის კანონის ძალით, აღკრძალული იქმნება პირველ თებერვლიდან 15 ივნისამდე.

✦ მთავრობამ გადასწყვიტა გადასდოს წელიწადში 370 ათასი მანეთი (სამის წლის განმავლობაში) თერგისა და ყიზლიარის ოლქის მეღვინე-მევენახეთა დასახმარებლად.

✦ მომავალ წელს ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს მოიწვიოს კომისია პურის ვაჭრობის გასაწესრიგებლად სოფლებში, საზოგადოდ იმ ადგილებში, სადაც პურს გლეხებისაგან ყიდულობენ. სამინისტრო ჰფიქრობს ეგრედ წოდებულ სავაჭრო პოლიციის შტატის დაწესებას. ამ პოლიციამ თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ აწონვისა და წყვის დროს ვაჭრებმა გლეხები არ ატყუონ.

✦ აზრადა აქვთ, პეტერბურგში არსებული სამთო ინსტიტუტი გადააკეთონ უმაღლესს სამთო აკადემიად.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გამოსცეს ნორმალური წესდება ისეთ წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათათვის, რომელნიც სოფლის ნაწარმოებით ვაჭრობენ.

✦ დედათა სამკურნალო ინსტიტუტში წელს პირველად დაამთავრეს სწავლა ქალებმა. სულ კურსი გაათავა 113 ქალმა. უმრავლესობა ერობებმა და სხვა დაწესებულებებმა უკვე მიიწვიეს ექიმებად.

✦ ერთის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მართლ-მადიდებელ მოსწავლეთ ნება მიეცეთ შაბათობით იარონ ხოლმე წარმოდგენებსა და სხვა გასართობებზე.

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** 13 ოქტომბერს წარმოდგენილს პიესას დიდი და ბევრის მეტყველი სახელი აქვს „ლანდი ანუ ბრძოლა მეცნიერებისა და სარწმუნოების შორის", მაგრამ, სამწუხაროდ, სახელის სიდიადე სრულებით არ შეეფერება შინაარსის და აზრის სიდიადეს. „ლანდი" გარეგნულად მორთული პიესაა, თავის მუსიკით, ელვა-ჭექით და მოჩვენებით თვალს უხვევს ხალხს და ნამდვილად წინ უშლის არა ბუნებრივს და უაზრო სურათს. პიესის გმირი ექიმი არი კერნერია (გ. მესხი), უთვლად გულკეთილი, უთვლად პატიოსანი, უთვლად ნიჭიერი ადამიანი, რომელიც თავგამოდებით ემსახურება ღარიბებს უფასოდ და თითონ-კი გაჭირვებულად სცხოვრობს. კერნერს გარს ახვევია ემმაკები—ბარონ ფონ ეშენბახი (ვ. გუნია), ბანკირი ფრიშმანი (გედევანოვი) და პროფეს. ექიმი შილინგი (დ. აწყურელი), ამათ უნდათ მოიყიდონ კერნერი, გაიხადონ თავის მონა-მოსამსახურედ, მაგრამ, რასაკვირველია, ამაოდ. კერნერს ჰყავს მეგობრებიც—კეთილი ანგელოზები: დედა (ნ. გამყრელიძისა) და ფრანცი (კ. შათირიშვილი). ეს ფრანცი ეხმარება კერნერს ფულით, რომ სახლი არ გაუყიდონ საჯაროდ, მერე მიჰყავს კერნერი ქალაქის გარედ ბაღში დროს გასატარებლად, სადაც კერნერს გამოეცხადება სიკვდილის გამომხატველი ლანდი და ეუბნება: ნუ მებრძვი, თავი დამანებე; სადაც მე დამინახო ავადმყოფთან, იქ გამშორდი; სადაც კი მე არ ვიქნები, იქ უთუოდ მოარჩენ სნეულსაო. კერნერი აქვე ნახავს ფრანცის დას—მარგარიტას და გულში ჩაუვარდება მისი სიყვარული.

მძიმე ავად არის ფრანცის მამა (გ. გამყრელიძე); მოიწვევენ კერნერს, რომელსაც სრული იმედი აქვს ავადმყოფის მორჩენის, რადგან მის სარეცელთან ვერ ჰხედავს ლანდს. მაგრამ ლანდი გაჩნდება ცოტა ხნის შემდეგ, მხოლოდ ფრანცის მამის მოსაკლავად კი არა, არამედ ფრიშმანისა, რომელსაც უცებ გული უწუხდება და ჰკვდება. მარგარიტას და კერნერს ძლიერ შეუყვარდებათ ერთმანეთი, მაგრამ მარგარიტას ხელს თხოულობს ეშენბახი. და მამას არც შეუძლია უარი უთხრას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეშენბახი შეატყობინებს ფრანცს და მარგარიტას იმ საიდუმლო მკვლელობას, რომელიც ჩაიდინა მათმა მამამ. მამა გაბედავს და თვითონ შეატყობინებს ამბავს შვილებს. ფრანცი დუელში იწვევს ეშენბახს. ეშენბახი დასჭრის ფრანცს, მაგრამ მერე კერნერი ლანდის დახმარებით მოჰკლავს ეშენბახს.

უკანასკნელ მოქმედებაში კერნერი და მარგარიტა ჯვარის საწერად არიან მზად, მაგრამ უცებ გული უწუხდება მარგარიტას, ცუდად შეიქმნება კერნერის დედაც. გაჩნდება ლანდი და ეუბნება კერნერს: ან მარგარიტა უნდა მოვკლა, ან დედაო. კერნერმა არ იცის, რა მოიქმედოს. მერე სხვებთან ერთად მუხლებზე დაეცემა და ღმერთს სთხოვს დახმარებას. ღმერთი ისმენს მის ვედრებას და ფეხზე წამოდგებიან მარგარიტაც და კერნერის დედაც.

როგორც ჰხედავთ, ავტორს ფილოსოფიური განზრახვა ჰქონია, მაგრამ ძლიერ უბრალოდ კი შეუსრულებია თავისი განზრახვა. მეცნიერების და სარწმუნოების ურთიერთობა ძალიან საინტერესო საგანია. მართალია, ქვეყანაზე ბევრი რამაა, რაზედაც ხელი არ მიუწვდება მეცნიერებას, დღეს დღეობით მაინც, მაგრამ შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა ისე ბავშურათ, როგორც ჩვენის პიესის ავტორმა გადასწყვიტა; თანაც უკანასკნელ წუთამდის ავტორი არაფერს არ გვეუბნება ამ საგნის შესახებ, არ გვამზადებს პიესის უკანასკნელ მოქმედების გასაგებად, რომელიც ახირებულს და მოულოდნელს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე.

პიესა მოეწონა ხალხს, მაგრამ ამან არ უნდა მოატყუილოს ჩვენი თეატრის გამგენი. როგორც ვსთქვით, „ლანდს" მიმზიდავი გარეგნობა აქვს, მისი კეთილი გმირები ებრძვიან უზნეო და ბოროტს ადამიანებს, იმარჯვებენ და სიკეთის გამარჯვებას (რაც უნდა არა ბუნებრივად იყოს დახატული) უყველთვის აღტაცებაში მოჰყავს ხალხი. გამარჯვება და ბოროტის დამარცხება ისეთი საგანია, რომლის სახით კარგი პიესაც შეიძლება მიაწოდოთ ხალხს და ცუდიც.

პიესა საზოგადოთ კარგად იყო წარმოდგენილი. ტიპიური ბურჟუა დაგვიხატა ბ. გედევანოვმა როგორც გრიმით, ისე ლაპარაკით და მიხვრა-მოხვრით. ბ. გუნიას უყველთვის ძალიან ეხერხება ძველებურ-რაინდულ პირების დახატვა—მაჭანკების, მკლავის თაყვანის მცემლების და ამაყების. სრულებით უნაკლულოდ ჩაატარეს თავიანთი როლები ბ. აბაშიძემ (ფუქსი) და ბ. აწყურელმა. ბ. მესხის თამაშს ძლიერ ახდენს ის ხმის ამაღლება (удареніе), რომელიც სჩვევია მას სიტყვების გამოთქმის დროს. ცუდი იყო ქ. გამყრელიძისა, რომელსაც ვერ ეხერხებოდა სრულებით გრძნობების და სულის მოძრაობის გამოხატვა და ისე ლაპარაკობს და მოძრაობს, თითქოს მანქანა იყოსო.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ლანდისთანა" არაბუნებრივის პიესების თამაში მეტად ძნელიც არის აქტიორებისათვის და ცუდი სკოლაც მათის გაწვრთნისათვის.

ხალხი ბლომად იყო, დიდს უმრავლესობას შეადგენდა მოსწავლე ახალგაზდობა. **გ.**

## წერილი განჯიდან

ქალაქის მამები.—ნოქრების მდგომარეობა

სძინავთ ჩვენის ქალაქის „მამებს". თუმცა ქალაქს აუარებელი საქმეები აქვს გასათვალის-წინებელი, „მამები" მაინც ძილს თავს არ ანებებენ. საქმეს ხელს არა ჰკიდებენ. ალბათ, შიშობენ, ხელი არ შეუშალონ ქალაქის საერთო ძილს. რასაკვირველია, ჩვენი „მამანიც" იკრიბებიან ერთად ვითომ და ქალაქის „გასაკეთებლად", მაგრამ ალლაჰმა უწყის, რაზე აქვთ სჯაა-ბაასი, მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ მათი ნამოქმედარი ჩვენს ქალაქს არაფერში ატყვია. სხვაგან სცდილობენ ქალაქის სუფთად შენახვას, განჯაში მხოლოდ ორი-სამი ქუჩა მიაჩნიათ „ქალაქად" (თუმცა ამ ქუჩაშიაც ვერ არის სისუფთავე დაცული); ქალაქის დანარჩენი ნაწილი სიბინძურის სალაროს წარმოადგენს. ქალაქის განათებისა რა მოგახსენოთ? მართალია, ზოგიერთ ქუჩაში შეამჩნევთ რაღაცას, ფარანივით მბჟუტავს, მაგრამ საზოგადოდ მთელ ქალაქში წყვდიადია გამეფებული. სწორედ ამიტომაა, რომ აქ შებინდების შემდეგ ძვირად თუვინმეს დაინახავთ ქუჩაში, ერთად-ერთს ნუგეშს, შორიდან მოსულთათვის, შეადგენს სახლების სიიაფე, მაგრამ ეხლა სახლების ფასმა საგრძნობლად აიწია. ისეთი ოთახი, რომელიც წარსულ წელს 4—5 მანეთად ღირდა, წელს 7—8 მანეთამდის ჰფასობს. აქ ჩამოვიდა შემახის ჯარი, რომელმაც ბევრი სახლი დაიჭირა, და ფასმაც ამიტომ აიწია.

აქაურ ვაჭრებს წესად აქვთ დადებული კვირა-უქმეებში სავაჭრო სახლები დაკეტონ, რათა თავისუფლება მიანიჭონ ნოქრებს. თუ სხვაგან ნოქრები სცდილობენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას, აარსებენ ამხანაგობებს და სხვას, აქაურს ნოქრებს მინიჭებულ უფლებებითაც ვერ უსარგებლნიათ და ხშირად კვირა-უქმე დღეებშიაც დახლში სხედან. მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან მეწვრილმე ნოქრები. ყველა მოსამსახურეს განსაზღვრული დრო აქვს სამუშაოდ, რის შემდეგაც თავისუფლება ეძლევა. მეწვრილმე ნოქრებს თავიანთ პატრონების სურვილი გახდომიათ კანონად. მუშაობენ ეს ნოქრები დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდე. არც კვირა-უქმეებია გაჩენილი ამ ნოქრებისათვის. მხოლოდ იმით განირჩევა უქმე საქმე დღისაგან, რომ ამ დღეებში კარჩაკეტილში სხედან. ცემა-ტყეპა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. **იაზონ.**

## დაბა-სოფლები

**ქილდა** (ჯავახეთი). 4 ოქტომბერს ახალქალაქის მაზრის სოფ. ქილდის მცხოვრებს გლეხ ივანე მიშელაძეს და იმის ძმის წულს ფიცრით დატვირთული ურემი მიჰქონდათ თურმე ახალქალაქიდან თავიანთ სოფელში, ე. ი. ქილდაში. იმათთან კიდევ სხვა მეურმეებიც ყოფილან, იმავე სოფლის მცხოვრებნი. ივანე მიშელაძე ზედ დატვირთულ ურემზე იჯდა, ხოლო იმისი ძმის წული—ხარებს მიერეკებოდა. ივანე მიშელაძეს ურმის დასაპნა მოუნდა; ურემზე მჯდომარე ჩაეწოდა და ურემს დაუწყო დასაპნა; ამ დროს ურემზე ვეღარ დამაგრებულა, თავზე დაცემულა დედა მიწაზე და ურემს ზედ მუცელზე გადევლო. ამხანაგებს აუყვანათ ივანე მიშელაძე, ურემზე დაუკრავთ და ცოცხალ-მკვდარი სახლში ჩაუტანათ. საწყალმა 4-ის დღის მეტი ვეღარ იცოცხლა.

**სოფ. ვაჟა** (ზემო ქართლი). კარგი ხანია ამ სოფელში ბოროტ-მოქმედება არ მომხდარა, მაგრამ ეხლა ამ სენმა ხელ-ახლა იჩინა თავი. ათს ამ თვეს სიბძელი დაუწვეს თავად დ. ბეგ-აბებგოვს; მეორე ღამეს ზემოხსენებულ პირს თივის ძნა დაუწვეს; ხოლო 13 ამ თვეს სახლს გაუჩინეს ცეცხლი. სოფელს რომ ჩქარა არ გაეგო, სახლი გადაიბუგებოდა; მაგრამ ხალხი ბლომად იყო და, როგორც იქმნა, გადაარჩინეს, მხოლოდ სახურავის მესამედი დაიწვა. კარგია, რომ ქარი არა ჰქროდა, თორემ მთელი სოფელი გადაიწვებოდა. სასურველია, რომ ადგილობრივმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

**გ. ლომთათიძე**

## სვირის მევენახეთა საზოგადოების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

საცოდავ მდგომარეობაშია ჩვენებური საქმეები. ჩვენში უოველგვარ ახალის საქმის დაწყება და გაკეთება მეტად ძნელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი სოფლები ღვთის ამარად არიან მიტოვებულნი, მეორედ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი უოველ ახალ საქმეს ეჭვის თვალით შესცქერის; მესამედ—უფულოდ საქმის გაკეთება შეუძლებელია; მეოთხედ—უსასყიდლოდ არც არავის ჰსურს საზოგადოებას ემსახუროს და არც არავის შეძლება აქვს; მეხუთედ—უკეთუ ვინმემ თავისი ნათქვამი სიტყვა, როგორიც უნდა იყოს იგი, ვერ გაატარა საზოგადო კრებებზე, მაშინ მშვიდობით საზოგადო საქმეც და თვით საზოგადოებაც: დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას—ეს გაფიცხებული გახდება საქმის პირველი მოსისხლე მტერი; მეექვსე—ზოგიერთები საქმის დაწყებისთანავე დამწყებთაგან თხოულობენ ქვეყნის ხსნას; მეშვიდე—უოველ წევრს საქმის დაწყებისთანვე ჰსურს საქმის მეთაურობა, იმას არ დაგიდევს, გააკეთებს რამეს თუ არა; მერვედ—ჩვენში საზოგადო ფულს სიფრთხილით და მომჭირნეობით არ ეკიდებიან; ხშირად მსმენია ხოლმე: რა გენაღვლება საზოგადოების ფულით, დაჰხარჯე... არა უშავს-რაო... და სხვ. აი სურათი ჩვენებურ ახალის საქმისა.

ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, „სვირელ ღვი-

ნოდ“ წოდებული, ყველა ზემოდ ნათქვამ მიზეზებს თუ არა, უმეტესს მაინც ჩაუვარდა საჩინოქნელად. ვიდაც „სვირული“ ამდგარა და საქვეუნოდ გაიძახის: ვალი ავიღოთ... რის უნდა ემინოდეს ამხანაგობის (საზოგადოების) თავმჯდომარეს, თუ მის მიერ დაწყებულ საქმის მომავალი სწამს? ჩვენ საქმის კარგი მომავალიც გვწამს და დიდი იმედებიც გვაქვს ამ ახალის საზოგადოებისა, მაგრამ ძველი ქართული თქმულებაც— „ვალი ვაიაო“—გვჯერა. ბატონ „სვირელს“, როგორც იმისის წერილიდან სჩანს, ჯერ კიდევ არ გაუგია ჩვენის საზოგადოების დანიშნულება და ამიტომ პასუხის ღირსად არა ვსთვლით; მხოლოდ ამისმა შენიშვნამ საბუთი მოგვცა, მკითხველს საზოგადოებას და იმათ, ვისაც ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა აინტერესებს, გაგაცნოთ ეს ახალი საზოგადოება.

1900 წელს რამდენმამე კაცმა განვიზრახეთ შეგვედგინა ისეთი საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონდა ფილოქსერისაგან გაოხრებულ ვენახების აღდგენა, მეღვინეობის განკარგება და ღვინისათვის ბაზრის მოპოვება. ეს იყო და არის თავი-და-თავი საგანი საზოგადოების დაარსებისა. მაშინვე შევადგინეთ სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმალურ წესდების თანახმად ჩვენი წესდება, ხელ-მოწერილი წარვუდგინეთ და 1901 წლის ივნისის 13-ს დაგვიმტკიცეს კიდეც. ივლისში მოვახდინეთ პირველი კრება. ავირჩიეთ საზოგადოების თავმჯდომარე და იმისი ამხანაგი, საბჭოს წევრები, მდივანი, ხაზინადარი, სარევიზიო კომისია და ღვინის დამფასებელნი. გავაწეს-რიგეთ ფულის შემოტანა. როგორც მოგახსენეთ, ფული ჩვენში ძნელი შესაკრებია, ჩვენც ვერ ავსცდით ამ სიძნელეს. პირველად ფულმა ნელ-ნელა იწყო შემოსვლა. წევრები ერთმანეთს უცქეროდნენ. იმას კითხულობდნენ, ვინ შემოიტანა საწევრო ფული და ვინ არა... საბჭო ფულის სიცოტავეს არ შეუშინდა: დაიქირავა ადგილი, იყიდა თხუთმეტი ათასი მეტრი ამერიკული ვაზი, რამდენიმე ათასი წევრებმაც შემოსწირეს, შეიძინა რამდენიმე ათასი ნერგი ამერიკულ ვაზისა; გადააბრუნა ამისათვის საჭირო მიწა, შემოჭღობა და შეუდგა საქმეს. იყიდა შენობა, გაიკეთა ვაზის შესანახად სარდაფი, დაამყნო 33,000 ვაზი, დარგო, და დააყენა გამოცდილი მებაღე. ასე და ამ გვარად დღეს საზოგადოებასა აქვს კარგი მორთული სანერგე, რომლიდანაც მოელის ათას-ორასი მანეთის შემოსავალს იმის გარდა, რომ რჩება მოწყობილი სარდაფი და სახლი.

მომავალის წლისათვის იმედიც გვაქვს და დონეც შეგვწევს, რომ ასი ათას ვაზზე მეტი დავამყნოთ და თან კერძო მეჩქოლებზე უფრო იაფადაც გავყიდოთ (კერძო პირნი წყვილ ნამყენს ჰყიდიან 15 კაპ., ჩვენ კი შეგვიძლიან წყვილი 9 კ. 11 კ. გავყიდოთ), ასე რომ წევრს შეუძლიან ათასი ძირი ნამყენი იყიდოს 45 მან. 55 მანეთამდის და ისიც კარგად გადარჩეული ვაზი, კერძო კაცს კი კერძო მყნელისაგან ათასი ძირის შოვნა არ შეუძლიან 75 მან. ნაკლებ; ხან-და-ხან ას მანეთადაც იყიდება ხოლმე. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ კერძო პირისაგან ნაყიდი ვაზი მეტად არეულია ერთმანეთში. მყიდველი, გსთქვათ, საფერავს ჰყიდულობს, იმას ეძლევა ან ციცქა, ან სხვა რამ. საზოგადოებას განსაზღვრული აქვს ყოველ ჯიშის ვაზი და მყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ვაზი მიაქვს, რასაც ჰყიდულობს.

ასე და ამ გვარად; წევრს იმას გარდა, რომ იაფ-ფასად მიაქვს ვაზი, თავის ოც-და-ხუთის მანეთის წყალობით ათას დამყნილ ვაზში აძლევს არა 75 მანეთს, არამედ 45—55 მან. იმას, ვინც პირველ წელს 1000 ვაზს ჰყიდულობს, მოგება ეძლევა თავისი ოც-და-ხუთი მანეთი და საიმედო დამყნილი ვაზიც. ამას ისიც დაუმატეთ, რომ წლის ბოლოს საზოგადო მოგებიდანაც ერგება რამე. ვაზის მყიდველს, თუ დარგვა არ იცის, საზოგადოების მებაღემ უნდა აჩვენოს და ასწავლოს, როგორ უნდა დარგვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორი-სამის წლის შემდეგ შეგვეძლება ნახევარ მილიონ ვაზამდის დამყნა და მოვლა-გაშენება, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, დიდ შეღავათს მისცემს მყიდველსაც და თვით საზოგადოებასაც. ყველა ჩვენგან ნათქვამი ჭეშმარიტებაა და თუ ასე ბეჯითად განვაგრძობთ საქმეს, სიკეთე და სარგებლობა დიდი იქნება.

ვალის აღება იმიტომ უფრო მოისურვა ორმა თუ სამმა წევრმა, რომ ღვინის გატანა მოიწადინეს ბაზარში საზოგადოების სახელით. ჩვენ ამ ვალს იმიტომ ვერ დავსთანხმდით, რომ, ჯერჯერობით ფულიც რომ გვქონდეს, ძრიელ გვეშინიან ღვინის გატანა ბაზარში იმიტომ, რომ ამ ჟამად ნამდვილი „სვირული ღვინო“ აღარ არის. ეხლანდელი ღვინო სრულიად გაფუჭებულია ფალსიფიკაციით და ამხანაგობა არ ინდომებს სახელის გაფუჭებას. კარგია, რომ კარგი ღვინოები გვქონდეს და შეგვეძლოს მყიდველებს თამამად ვუთხრათ: ეს ჩვენი ღვინო ნამდვილი ყურძნის წვენია, შიგ სხვა არაფერი ურევიაო, მაგრამ ამისი თქმა ჩვენ ჯერ არ შეგვიძლიან და არც ღვინოს გაწოდებთ არავის. ჩქარა მოგვივა ის დრო, როდესაც ჩვენც ჩვენი ნამდვილი ღვინო გვექნება გასასყიდი და მაშინ თამამად გეტყვით მუშტარს: მიირთვით, ბატონო „ნამდვილი სვირული ღვინოო“. ამისათვის არც ვალი დაგვჭირდება და არც ვახში.

საზოგადოების თავმჯდომარე **ან. ჟუჟუნი**

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ყველა უწყების მოხელეთათვის საზოგადო ფორმის შემუშავების საქმე უკვე დასრულდაო. ეს ფორმა დეკემბრიდან იქმნება შემოღებული.

**სარატოვი.** სამაზრო საერობო კრება შუამდგომლობს საგლეხო ბანკის წესდების შეცვლას, ჩაიზე აქციზის დაკლებას, შაქრის ფასის გაწესრიგების გაუქმებას და არყის გამოხდის აკრძალვას.

**სახალინი.** 15 თვის განმავლობაში კუნძულსა და მატერიკს შორის ტელეგრაფი არ მოქმედებდა. ეხლა იგი ხელ-ახლა მოქმედებს.

**ვაზა.** 13 ოქტომბერს გაიხსნა პირველი რუსული სამკითხველო.

**პარიზი.** პრეზიდენტმა მიიღო დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და ჰერცოგი ლეიხტენბერგისა შვილითურთ. ლუბე შემდეგ სადარბაზოდ იყო იმათთან.

**პორტ-არტური.** მოვიდა პოდპოლკოვნიკი ადაბაში, რომელიც პრინც კომატსუს ახლდა. ისპანიის მთავრობამ და მოხელეებმა პატივი სცეს. იმპერატორმა და იმპერატრიცამ იგი აუდენციაზე მიიღეს. იმის პატივსაცემად სასახლეში სადილი იქმნა გამართული. უბოძეს ორდენი.

**პეტერბურგი.** „ნოვოსტი“ იუწყება: სენატმა განმარტა, რომ გლეხი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ნადელით სარგებლობს, მამის მემკვიდრედ არ ითვლება, ამიტომ იგი პასუხის მგებელი არ არის მამის ვალებისათვის.

ციმბირში გაგზავნილ ებრაელთა ცოლებს, ისევე, როგორც სხვებს, ნება ეძლევათ დასჯილ ქმრებს ციმბირში გაჰყვნენ ხოლმე.

ის ფული, რომელიც ქალაქის საძოვრების სარგებლობისათვის ერთმევათ, არ ჩაირიცხება გადასახადთა ფურცლებში.

კომისია შეუდგა საკითხის განხილვას, რომელიც შეეხება იმ ღარიბებს, ვინც სამშობლოში აპირობს დაბრუნებას. უნდათ ან დაუკლონ სამგზავრო ფასს ან სულ მოსპონ.

**მოსკოვი.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე იუნკერთა სასწავლებელში იყო; დაესწრო სადილს, ელაპარაკა კადეტებს; მოისმინა წირვა პირველ კადეტთა კორპუსში.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბერს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,90—93,95 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,95 |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | — |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97 მყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 100 გაყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $94^1/_2$ მყიდვ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა | $467^1/_2$ გაყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 354 „ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $287^1/_2$ „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 94 „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | — |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 179 „ |

# მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.).


# განცხადებანი

ქ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე გოგოლდოვის შეხობაში ტარიელ დიმიტრის ძე

გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—15)

რ. გ. კავალი,

სკრიპკის მასწავლებელი აძლევს გაკვეთილებს. ადრესი: „ვოენნაია“ ქუჩა, სახლი ენიკოლოფოვისა, № 9. (4—1)

საჭიროა თავისუფალი

მიწის ნაჭერი

ზომით 2000—2500 ოთხ-კუთხი საჟენი იმან, ვისაც ჰსურს გაჰყიდოს მიწა, უნდა მიჰმართოს ექიმს სტეფანოვს. ამაღლების ქუჩა, კაპანაკოვის სახლი № 6. (6—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი | — | 30 |
| დ. უაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პროფესს. ვ. პეტრიაშვილისა | 1 | [illegible] |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასისა ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტი აღებულია

ფაბრიკა და სარინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—43)


Дозв. ценз. Тифлисъ, 14 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).